ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველ დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.05.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 054/13

საჩივარი შეტანილია – ადვოკატ თ. ჯ. – ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ. – სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 28 მაისს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ. – მა და მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ. – სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ თ. ჯ. – ს საადვოკატო მომსახურების გაწევის თხოვნით მიმართა 2012 წლის დეკემბერის პირველ ნახევარში. ადვოკატს მისთვის უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ დავაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის 2012 წლის 14 დეკემბერს შეხვდა ადვოკატს და გადასცა მის ხელთ არსებული ყველა საბუთი, კერძოდ, რეესტრიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია დაკავშირებული სადავო ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემასთან; მერიიდან მიღებული საპასუხო წერილები, ამონაწერი ოქმიდან და ორთოფოტოები 2006 და 2010 წლის მდგომარეობით.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს გააცნო საქმის ვითარება და შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი აწარმოებდა მის საქმეს ყველა ინსტანციაში. საადვოკატო მომსახურების ჰონორარად განისაზღვრა 500 ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, სრული ჰონორარის გადახდა იმ დროისთვის არ შეეძლო და ადვოკატს შეუთანხმდა, რომ მთლიან თანხას მოგვიანებით ჩარიცხავდა მის საბანკო ანგარიშზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2013 წლის 01 მარტს საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხა ადვოკატს 500 (ხუთასი) ლარი.

1.5 მ. მ. ს განმარტებით, ადვოკატს მისთვის საქმესთან დაკავშირებით არანაირი რჩევა ან კონსულტაცია არ მიუცია და მის კითხვაზე, მოესწრებოდა თუ არა ქალაქ თბილისის მერიის 2012 წლის 07 დეკემბრის № პასუხის გასაჩივრება ვადებში, ადვოკატმა განუცხადა, რომ ყველაფერს დროულად მიხედავდა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს ის მეორედ შეხვდა პირადობის მოწმობის გამოსართმევად და 2012 წლის 18 დეკემბერს გაუფორმა რწმუნებულაბა №. ადვოკატს კვლავ არ უცნობებია კლიენტისათვის მისი საქმის შესახებ ინფორმაცია.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს ის მესამედ შეხვდა 2012 წლის 27 დეკემბერს და გადასცა სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით, რათა არ გასულიყო ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, როდესაც ის უკავშირდებოდა ადვოკატს და ეკითხებოდა მის საქმესთან დაკავშირებით რა ხდებოდა, ადვოკატი მოკლედ პასუხობდა, რომ ყველაფერი კარგად იყო და სხვა არანაირ ინფორმაციას არ აწვდიდა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას მხოლოდ ერთხელ დაუკავშირდა და მოწმის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის მიტანა სთხოვა, თან განუმარტა, რომ სჭირდებოდა საბუთებისათვის, მაგრამ არ დაუკონკრეტებია რომელი საბუთისთვის სჭირდებოდა.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადვოკატს დაუკავშირდა 2013 წლის 08 იანვარს და ჰკითხა, გაასაჩივრა თუ არა ადმინისტრაციული აქტი, შეიტანა თუ არა ბაჟი სასამართლოში და მიიღო თუ არა სასამართლოდან შესაბამისი დოკუმენტი. საჩივრის

ავტორის განცხადებით, ადვოკატმა უპასუხა, რომ ყველაფერი კარგად იყო და თავად დაუკავშირდებოდა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადვოკატს დაუკავშირდა 2013 წლის მარტის ბოლოს და ჰკითხა, ჩაერიცხა თუ არა მომსახურების ჰონორარი, ადვოკატმა უპასუხა, რომ ჩაერიცხა და თანხის ნახევარი - 200 ლარი გადასცა სხვა ადვოკატს; ეს ფაქტი თ. ჯ. – მ იმით ახსნა, რომ ადვოკატი, რომელსაც ჰონორარის ნაწილი გადასცა, ადმინისტრაციულ სამართალში ძალიან ძლიერი იყო. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადვოკატ თ. ჯ. – სთან არ შეთანხმებულა საქმეში სხვა ადვოკატის ჩართვაზე და მისი საქმე უშუალოდ თ. ჯ. – ს უნდა ეწარმოებინა. ადვოკატის ასეთი ქმედების შედეგად, მას უნდობლობა გაუჩნდა ადვოკატისადმი.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას არცერთი ადვოკატი არ დაკავშირებია საკუთარი ინიციატივით. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ადვოკატმა თ. ჯ. – მ კლიენტს მისცა საქმეში ჩართული მეორე ადვოკატის საკონტაქტო ინფორმაცია. მ. მ. – ს განმარტებით, მან ადვოკატ თ. ჯ. – ს მოსთხოვა, რომ დასკანერებული სახით გაეგზავნა მისთვის ყველა დოკუმენტი და კლიენტთან შეხვედრის გარეშე, არცერთ ადვოკატს სარჩელი არ შეეტანა სასამართლოში.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის აპრილის შუა რიცხვებში ისევ დაუკავშირდა ადვოკატ თ. ჯ. – ს და მოსთხოვა ეცნობებინა, თუ რა ეტაპზე იყო მისი საქმის წარმოება. ადვოკატმა განუცხადა, რომ ორ დღეში რეესტრიდან მიიღებდა ცნობას და შემდეგ დაუკავშირდებოდა კლიენტს, აგრეთვე აცნობა, რომ სანამ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება გასაჩივრდებოდა სასამართლოში, მანამდე ყველა ადმინისტრაციული ინსტანცია უნდა მოევლო საჩივარს.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ვერ გაიგო, ვინ იყო მის წარმომადგენელი და რეალურად რომელი ადვოკატი აწარმოებდა საქმეს. ადვოკატმა თ. ჯ. – მ კი უპასუხა, რომ ის და საქმეში ჩართული მეორე ადვოკატი ერთად წარმოადგენდნენ მაია მურმანიშვილის ინტერესებს.

1.15 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის მაისის დასაწყისში შეხვდა ადვოკატ თ. ჯ. – ის ინიციატივით საქმეში ჩართულ მეორე ადვოკატს, რომლისთვისაც თ. ჯ. – ს საქმის მასალები ჰქონდა გადაცემული. მ. მ. – ს განცხადებით, ადვოკატთან საუბრისას გაირკვა, რომ არანაირ საბუთს რეესტრიდან არ ელოდებოდნენ. ადვოკატმა თ. ჯ. – მ მეორე ადვოკატს დროულად არ მიაწოდა საჩივრის ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია, ამ უკანასკნელმა კი მინდობილობის გარეშე ვერ შეძლო მისი საქმის წარმოება.

1.16. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მეორე ადვოკატისგან შეიტყო, რომ ადვოკატმა თ. ჯ. – მ 2013 წლის თებერვლის თვეში გადასცა თავის კოლეგას მ. მ. - ს საქმის მასალები. საქმეში მეორე ადვოკატის ჩართვის შესახებ კი საჩივრის ავტორისათვის ცნობილი გახდა

2013 წლის აპრილში. მ. მ. – ს განმარტებით, ადვოკატი თ. ჯ. 5 თვის განმავლობაში ატყუებდა მას.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმეში ჩართულმა მეორე ადვოკატმა მას განუცხადა, რომ საქმის წარმოებისათვის საჭირო იყო თანხის, 300 ლარის მის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა. მ. მ. – ს განცხადებით, თავიდან ფიქრობდა, რომ რწმუნებულება გაეფორმებინა მეორე ადვოკატისათვის, გადაეხადა შესაბამისი თანხა და მისთვის მიენდო საქმის წარმოება. თუმცა, აღმოაჩინა, რომ ამ ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

1.17 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ თ. ჯ. – ს ელექტრონული ფოსტის საშუალებით არაერთხელ მოსთხოვა მის მიერ გადახდილი თანხის 600 (ექვსასი) ლარის დაბრუნება. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის ივნისში მის ანგარიშზე ვინმე თ. ჭ. – მ ჩარიცხა 600 (ექვსასი) ლარი.

1.18 2013 წლის 11 მარტს განხილვის კოლეგისს სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ახალი წლის დღეების შემდგომ, დაუკავშირდა თ. ჯ. – ს და ჰკითხა, სახელმწიფო ბაჟი თუ შეიტანა ან სარჩელის შეტანის ვადები ხომ არ ირღვეოდა და სასამართლოდან აუცილებელი დოკუმენტები თუ აიღო, რომელიც ბაჟის გადახდის შემდეგ უნდა მიეღო. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ყოველთვის დადებითად პასუხობდა.

1.19 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ორი მოწმის პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა მოსთხოვა. ხოლო კითხვაზე, თუ რისთვის სჭირდებოდა მოწმეთა პირადობის მოწმობების ასლები, მან უთხრა, რომ ეს პირები სასამართლო სხდომაზე იქნებოდნენ მოწვეულნი და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს დაადასტურებდნენ. საჩივრის ავტორის განმარტებით, იმავე საღამოს თ. ჯ. – ს ერთი მოწმის პირადობის მოწმობის ასლი მიუტანა.

1.20 საჩივრის ავტორის განმარტებით, მაისის თვეში ა. ბ. – ს მისივე სახლში შეხვდა და ნახა, რომ თ. ჯ. – თვის გადაცემული საქმის მასალები, მათ შორის, მისთვის გაფორმებული რწმუნებულებაც ა. ბ. – ს ჰქონდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ა. ბ. – მა უთხრა, რომ რეესტრიდან არავითარ დოკუმენტს არ ელოდებოდნენ, საქმეს წარმართავდნენ და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

1.21 საჩივრის ავტორის განცხადებით, მოგვიანებით, რეესტრს მიმართა იმის გასარკვევად, მის საქმეზე ადვოკატ თ. ჯ. – ის მიერ თუ იყო რამე ინფორმაცია გამოთხოვილი, რეესტრის პასუხი უარყოფითი იყო.

1.22 2013 წლის 19 და 21 მარტს მოწმის ახსნა-განმარტების მოსმენის მიზნით გაიმართა განხილვის კოლეგიის სხდომები, მაგრამ მოწმე არ გამოცხადდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ჯ. - მ 2013 წლის 21 ივნისს ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად მ. მ. – ს შეუთანხმდა, რომ როდესაც ხელშეკრულება გაფორმდებოდა და ჰონორარი ჩაირიცხებოდა მის ანგარიშზე, მაშინ განახორციელებდა მომსახურებას, რადგან ბევრი საქმე ჰქონდა. ადვოკატის განცხადებით, იგი მ. მ. – ს 2012 წლის 18 დეკემბრიდან მოყოლებული, რამდენჯერმე დაუკავშირდა ხელშეკრულების დადებასთან და ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა მას უთხრა, რომ 2013 წლის იანვრის დასაწყისში თანხას აუცილებლად ჩაურიცხავდა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2013 წლის მარტის თვის დასაწყისში მასთან მივიდა საჩივრის ავტორი ჰონორარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, მან მომსახურებაზე უარი განუცხადა მ. მ. – ს იმ მოტივით, რომ ბევრი საქმე ჰქონდა, აღარ ეცალა და საქმის მასალები დაუბრუნა საჩივრის ავტორს და განუმარტა, რომ თუ სურვილი ჰქონდა, შეეძლო სხვა ადვოკატთან მისულიყო და მისცა ამ ადვოკატის საკონტაქტო ინფორმაცია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მას მეორე ადვოკატისათვის არც თანხა და არც მ. მ. – ს საქმის მასალები არ გადაუცია.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მ. მ. – მა მოსთხოვა, დაებრუნებინა ჰონორარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავდა ეთიკის კომისიას. ადვოკატის განცხადებით, რადგან თანხა 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით იმ მომენტისათვის არ ჰქონდა, საჩივრის ავტორის პირად ანგარიშზე თანხა ჩარიცხა 2013 წლის ივნისის შუა რიცხვებში. ამ მომენტისათვის კი მ. მ. – ს უკვე შეტანილი ჰქონდა საჩივარი ეთიკის კომისიაში.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ქვითარზე დაფიქსირებული სახელი და გვარი - თ. ჭ. სავარაუდოდ არის იმ მოლარე-ოპერატორის, რომელმაც თანხის ჩარიცხვის მომსახურება განახორციელა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტთან კომუნიკაცია ჰქონდა თავისი ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

2.7 2013 წლის 11 მარტს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მ. მ. – მა რწმუნებულების გაფორმების შემდგომ მალევე გადასცა საქმის მასალები. ადვოკატის განმარტებით, იგი მ. მ. – ს შეუთანხმდა არა თბილისის მერიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებაზე, არამედ საჩივარი უნდა შეეტანა საჯარო რეესტრის ერონული საგენტოში, ვინაიდან მეზობლის საკუთრების დარეგისტრირება არასწორად განხორციელდა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჩივრის შეტანისათვის ვადები არ იყო დადგენილი.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მარტის თვეში დაუკავშირდა მ. მ. – ს და აცნობა რომ იწურებოდა ვადები და საქმე ა. ბ. - ს გადასცა. ადვოკატის განცხადებით, მ. მ. – ს წინასწარ შეუთანხმდა საქმის ა. ბ. – სათვის გადაცემის თაობაზე.

2.10 2013 წლის 19 და 21 მარტს მოწმის ახსნა-განმარტეის მოსმენის მიზნით გაიმართა განხილვის კოლეგიის სხდომები, მაგრამ მოწმე არ გამოცხადდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 26 ნოემბერს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ჯ. – ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა თ. ჯ. – მ მ. მ. – ს არ მისცა კვალიფიციური რჩევა მის საქმესთან დაკავშირებით, საქმის აღებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში არანაირი საპროცესო მოქმედება არ განახორციელა და ამის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს; ასევე, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა თ. ჯ. – მ კლიენტთან შეთანხმების გარეშე ჩართო სხვა ადვოკატი საქმეში და გადასცა საქმის მასალები, სავარაუდოდ დარღვეული იქნება ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. საჩივრის ავტორსა და მოპასუხე თ. ჯ. – ს შორის შედგა შეხვედრა და 2012 წლის 14 დეკემბერს გადასცა მის ხელთ არსებული ყველა საბუთი, კერძოდ, რეესტრიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია დაკავშირებული სადავო ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემასთან; მერიიდან მიღებული საპასუხო წერილები, ამონაწერი ოქმიდან და ორთოფოტოები 2006 და 2010 წლის მდგომარეობით;

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2013 წლის 28 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი
2. ადვოკატ თ. ჯ. – ის 2013 წლის 21 ივნისის ახსნა-განმარტება

4.1.2. საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. ჯ. – ს 2014 წლის 01 მარტს ჩაურიცხა თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ანუ ის თანხა, რასაც ადვოკატი სთხოვდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2013 წლის 28 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი
2. ადვოკატ თ. ჯ. – ის 2013 წლის 21 ივნისის ახსნა-განმარტება
3. თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

4.1.3. 2013 წლის 21 ივნისს ადვოკატმა თ. ჯ. – მ მ. მ. – ს 2013 წლის ივნისის შუა რიცხვებში მომჩივანს უკან დაუბრუნა თანხა, რადგან მანამდე დასაბრუნებელი თანხა არ ჰქონდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ თ. ჯ. – ის 2013 წლის 21 ივნისის ახსნა-განმარტება
2. მხარეთა შორის ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა
3. თანხის ჩარიცხვის ქვითარი

4.1.4. საჩივრის ავტორ მ. მ. – ს განმარტებით მან თავისი საქმის მასალები გამოართვა სულ სხვა ადვოკატს ა. ბ. – ს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2013 წლის 28 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი
2. ადვოკატ თ. ჯ. – ის 2013 წლის 21 ივნისის ახსნა-განმარტება

4.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

4.2.1. მომჩივანი მ. მ. კატეგორიულად უარყოფს სხვა ადვოკატ ა. ბ. – სათვის მისი მასალების გადაცემის ცოდნას. იგი აცხადებს, რომ როგორც კი გაიგო ადვოკატ ა. ბ. – თან მისი მასალების გადაცემის შესახებ, დაუყოვნებლივ მივიდა მასთან მასალების გამოსართმევად, ვინაიდან მომჩივნისათვის ცნობილი გახდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები ადვოკატ ა. ბ. – ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

4.2.2. მოპასუხე ადვოკატი თ. ჯ. უარყოფს მომჩივნის პოზიციას და განმარტავს საპირისპიროს, რომ ახალი ადვოკატის საქმეში ჩართვის შესახებ მან შეატყობინა მომჩივანს. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად კოლეგიამ მოიწვია არაერთხელ მოწმის სახით

სხდომაზე ადვოკატი ა. ბ., რომლის გამოცხადებაც სხდომაზე ვერ მოხერხდა და გამოუცხადებლობის მიზეზი კოლეგიისათვის ცნობილი არ არის. სხდომაზე მოპასუხე ადვოკატ თ. ჯ. – ის მიერ წარმოდგენილი იქნა ბურდულის სახელით დაწერილი ახსნა განმარტება, რომლის იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა ა. ბ. – ის გამოუცხადებლობის გამო.

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ. – ს მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით გააჩნდა შესაძლებლობა, რომ წარმოედგინა საკუთარი პოზიცია სადაო ფაქტობრივი გარემოების თაობაზე, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით, მათ შორის, დამატებითი განმარტების წარმოდგენაში მხარეები არ არიან შეზღუდული. მოპასუხე ადვოკატმა ვერ წარმოადგინა მისი პოზიციის დასადასტურებლად მისი კოლეგა ა. ბ., რაც წარმოადგენდა აღნიშნული საქმის არსებითი დეტალის დაზუსტების უცილობელ პირობას, ხოლო ადვოკატ ჯ. – ის მიერ წარმოდგენილი ბ. – ის სახელით დაწერილი ახსნა - განმარტების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა ა. ბ. არ გამოცხადდა განხილვის კოლეგიის არც ერთ სხდომაზე.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მოუსმინა მხარეებს, გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ჯ. – ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ. – ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

6.2 ადვოკატსა და კლიენტს ან უფლებამოსილ პირს შორის შეთანხმება ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების თაობაზე, კლიენტს აძლევს შესაძლებლობას იყოს ინფორმირებული მისი ინტერესების წარმომადგენლის შესახებ, ჰქოდეს ადვოკატთან კომუნიკაცია და უშუალოდ მისგან მიიღოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.

6.3 ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ,,რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის''. მოცემული ნორმის შესაბამისად, რწმუნებულს შეუძლია, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად გადასცეს სხვა პირს, თუ აქვს შესაბამისი პირის თანხმობა საქმის სხვა პირისათვის გადანდობის თაობაზე.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 სექტემბერის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №029/11, განმარტა: ,,კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.“

6.5 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა თ. ჯ. – მ მისი საქმის წარმოება მიანდო სხვა ადვოკატს ისე, რომ ამის შესახებ არ შეთანხმებულა კლიენტთან. ამასთან, საქმის სხვა ადვოკატისათვის გადანდობის თაობაზე ინფორმაცია, ადვოკატმა აპრილის თვეში მიაწოდა კლიენტს, მაშინ, როცა უკვე 2013 წლის თებერვლის თვეში გადაცემული ჰქონდა მ. მ. – ს საქმის მასალები მეორე ადვოკატისათვის. ადვოკატმა თ. ჯ. – მ საქმე ისე გადაანდო სხვა ადვოკატს და გადასცა კლიენტის საქმის მასალები, რომ ამ უკნასკნელთან არ შეუთანხმებია, კლიენტისგან არ ჰქონია მინიჭებული ასეთი უფლებამოსილება. საწინააღმდეგო პოზიციის დასადასტურებლად ადვოკატის მიერ მითითებული მოწმე არ გამოცხადდა განხილვის კოლეგიის სხდომებზე. საქმის მასალები არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ადვოკატმა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გათქვა მასთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატის ქმედებით კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში.

6.6 ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტს უნდა ჰქოდეს სრული და სწორი ინფორმაცია მისი საქმის შესახებ, რათა შეძლოს საქმის მსვლელობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის, როგორც იურიდიული მრჩევლის დახმარებით. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, ვინაიდან იგი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

6.7 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა: „ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადო მიწოდება გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. ადვოკატი მუდიმვად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას.“

6.8 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს მისი საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციას, კლიენტის ყოველი მცდელობისას, ადვოკატისაგან მიეღო მისი საქმის შესახებ ინფორმაცია, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი განმარტებით და დაიმედებით, რომ ყველაფერი კარგად იყო; ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას კლიენტის ინტერესებისადმი ამგვარი დამოკიდებულება არის გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლით; მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 მუხლებით, მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №054/13 ადვოკატ თ. ჯ. – ს /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ თ. ჯ. – ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/